ხსოვნა – რამაზ შაყულაშვილი

რამაზ ყარამანის ძე შაყულაშვილი დაიბადა 1948 წელს ქ. თბილისში. დაამთავრა ქ. თბილისის 54-ე საშუალო სკოლა. უმაღლესი განათლება მიიღო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ბუღალტერ-ეკონომისტის სპეციალობით. პედაგოგიური მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში. 19 წლის ასაკში კითხულობდა ლექციებს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სასწავლო ცენტრში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1971 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა თანმდებობებზე. 1980 წელს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს უმაღლესი საატესტატო კომისიის მიერ მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათას კანდიდატის ხარისხი, ხოლო 1985 წელს საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით მიენიჭა დოცენტის წოდება.

2005-2012 წწ. გახლდათ სრული პროფესორი და მუშაობდა თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ინსტიტუტში რექტორის თანმადებობაზე.

რამაზ შაყულაშვილი იყო არა ერთი წიგნის ავტორი ბუღალტრული აღრიცხვის თეორიაში და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში, რომლებიც განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის და აუდიტორთა კადრების მოსამზადებლად. მას ეკუთვნის 50-ზე მეტი სამეცნიერო მეთოდოლოგიური ნაშრომი და სტატია.

1995 წელს მუშაობდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ფინანსებისა და დაგეგმარების სამმართველოს უფროსად.

1996 წელს მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვის და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსად.

1998-2005 წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროში სამელიორაციო სისტემების მართვის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსად.

ქართულმა ეკონომიკურმა საზოგადოებამ რამაზ შაყულაშვილის სახით დაკარგა მაღალი პროფესიონალი, თავისი საქმის უბადლოდ მცოდნე პიროვნება.

მეგობრების ხსოვნაში იგი დარჩება საუკეთესო მეგობრად და გულისხმიერ ადამიანად.

კარლო ღურწკაკია, ვახტანგ დათაშვილი, ევგენი ბარათაშვილი, ილია ხოსიტაშვილი, ლევან გრიგალაშვილი, მირიან მურჯიკნელი, ზურაბ ვაშაკიძე, ნადია კვატაშიძე, გიორგი ჭინჭარაული, გიორგი ნანუაშვილი, აკაკი მუმლაძე, ვასილ ლობჟანიძე, ანჟელა ხორავა, ნუგზარ კორძაია, ფრიდონ ბურდული, ნანა სრესელი.

სოციალური ეკონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

(მესამე ნომრის დამატება)

ლექციების კურსი